სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 01-04/25 3. 04. 2020 წ.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 მარტის № 205 დადგენილების საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის განხორციელების საფუძველზე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლა/სწავლების პროცესის უწყვეტობის უზრუნველყოფის განხორციელების მიზნით ვბრძანებ:

1. გაგრძელდეს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლა/სწავლების პროცესი ონლაინ რეჟიმში 1.04. 2020-დან 22.04.2020-მდე;
2. დაევალოს ფაკულტეტის დეკანებს მაქსიმალურად გამოიყენონ უნივერსიტეტის განკარგულებაში არსებული შესაძლებლობები (როგორც ტექნიკური, ისე პროგრამული) ამ ბრძანების პირველი მუხლით განსაზღვრული სწავლების ფორმებით სწავლა/სწავლების პროცესის მიზანმიმართულად წარმართვისათვის;
3. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, რომელიც 2019-2020 სასწავლო წლის საგაზაფხულო სემესტრში ახორციელებს სწავლა-სწავლების პროცესს, ვალდებულია გააგრძელოს სწავლა/სწავლების პროცესი დისტანციურად (ამ ბრძანების პირველი მუხლის მიხედვით).
4. აწსუ-ში არსებულ სხვადასხვა ონლაინ პლატფორმაზე (Microsoft teams, moodle) სწავლა/სწავლების პროცესის განხორციელების მიზნით, ფაკულტეტის დეკანების განკარგულებით გამოყოფილმა პასუხისმგებელმა პირებმა გაგრძელონ მუშაობა სწავლა/სწავლების პროცესის ონლაინ რეჟიმით გათვალისწინებული ქმედებების ორგანიზაციული მხარდაჭერის მიზნით;
5. აწსუ მულტიმედიურ ლაბორატორიამ და ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახურმა გააგრძელოს ონლაინ სწავლებასთან დაკავშირებული საინფორმაციო ვიდეო რგოლების მომზადება და ვებ-გვერდზე განთავსება, შესაბამისი პერსონალის გადამზადება დისტანციურად და პროცესის ტექნიკური მხარდაჭერა;

6. განსაკუთრებული აუცილებლობის შემთხვევაში ფაკულტეტების ადმინისტრაციების წარდგინებით, გაგრძელდეს სივრცეების გამოყოფა, ფაკულტეტების მიხედვით, ონლაინ ლექციების, სემინარების და პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარებისა და/ან ვიდეოლექციების ჩაწერის მიზნით, მთავრობის მიერ დადგენილი რეგულაციებისა და შეზღუდვების სრული დაცვის პირობით;
7. ონლაინ ლექციების ჩატარება გაგრძელდეს არსებული დამტკიცებული სასწავლო ცხრილების დაცვით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს ინდივიდუალური დროებითი ცხრილების ფორმირება, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურთან შეთანხმებით;
8. მოხდეს ონლაინ ლექციების ჩატარება Microsoft Teams-ის გამოყენებით, მათი ჩაწერა და განთავსება, რათა სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა მათი ნახვისა, ნებისმიერ დროს;
9. ჩატარებული ონ-ლაინ და ვიდეო-ლექციების ხარისხის მონიტორინგი განახორციელოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, ხოლო პროცესის მიმდინარეობის კონტროლი - სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა;
10. დაევალოს ფაკულტეტის დეკანებს ონ-ლაინ ჩასატარებული ლექციების სისტემატური მონიტორინგი;
11. დაევალოს დეპარტამენტის ხელმძღვანელებს ონ-ლაინ ლექციების გაცდენის შემთხვევაში მოამზადონ ლექციების აღდგენის გრაფიკი და წარუდგინონ ფაკულტეტის დეკანს შემდგომი რეაგირებისათვის. ფაკულტეტების მიხედვით აკუმულირებული ინფორმაცია მიეწოდოს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს;
12. ონ-ლაინ რეჟიმში მიმდინარე ლექციების ფაქტობრივად ჩატარების შესახებ ინფორმაცია, ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახურმა და ფაკულტეტის დეკანებმა, ყოველიკვირეულ რეჟიმში (გასული კვირის ინფორმაცია, ყოველ მომდევნო კვირის ორშაბათს), მიაწოდოს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს;
13. ონ-ლაინ რეჟიმში ჩატარებულ ლექციებზე სტუდენტთა დასწრების აღრიცხვა აწარმოონ პროფესორ-ასწავლებლებმა და შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაცია მიაწოდონ დეპარტამენტის ხელმძღვანელებს, რომლებიც დეპარტამენტების მიხედვით კონსოლიდირებულ ინფორმაციას მიაწვდიან ფაკულტეტის დეკანებს ყოველკვირეულ რეჟიმში;
14. წინამდებარე ბრძანების მოქმედება გავრცელდეს იმ პროგრამებსა და სასწავლო კურსებზე, რომლებიც, თავისი შინაარსითა და სპეციფიკით, არ მოითხოვს აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის უშუალო კომუნიკაციას;
15. წინამდებარე ბრძანების მე-14 მუხლით არ გათვალისწინებული პროგრამებისა და სასწავლო კურსებისათვის შედგეს ინდივიდუალური სასწავლო ცხრილები, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურთან შეთანხმებით;
16. ფაკულტეტის დეკანებმა და ხარისხის სამსახურის უფროსებმა დააზუსტონ იმ თანამშრომელთა სია, რომლებიც ვერ ახერხებენ ლექციების ჩატარებას, იმ სტუდენტების სია, რომლებიც ვერ ახერხებენ ონ-ლაინ სწავლება/სწავლის პროცესში ჩართვას და

წარმოადგინონ კონკრეტული რეკომენდაციები პრობლემის აღმოფხვრის შესაძლებლობებთან დაკავშირებით, არაუგვიანეს ბრძანების ძალაში შესვლიდან 1 კვირის განმავლობაში;

17. წინამდებარე ბრძანების მე-16 მუხლით განსაზღვრული კატეგორიის სტუდენტების დაზუსტებული სიები მიეწოდოს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის, სტუდენტთა აღრიცხვისა და მომსახურების განყოფილებას (განყოფილების უფროსი ასოც. პროფ. ე. უკლება), მათი საცხოვრებელი ადგილის დადგენისათვის, დახმარების შესაძლო გზების გამოვლენის მიზნით;
18. დაევალოს მარკეტინგის, პროექტების და ღონისძიებების მართვის სამსახურს (ასოც. პროფ. თ. ვალიშვილი) მოახდინონ ბრძანების შესახებ სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ინფორმირება ელექტრონულ ფოსტებზე შეტყობინების დაგზავნის ფორმით და ინფორმაციის მიწოდების ჩვენს ხელთ არსებული ყველა შესაძლებლობის (ფეისბუქ-გვერდი, აპლიკაცია ATSUNEWS) გამოყენებით;
19. დაევალოს კანცელარიის უფროსს (ე. ცირეკიძეს) მარკეტინგის, პროექტების და ღონისძიებების მართვის სამსახურს (ასოც. პროფ. თ. ვალიშვილი) ბრანება განათავსონ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
20. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი უზრუნველყოს რექტორის მოადგილემ, ასოც. პროფესორმა შალვა კირთაძემ;

საფუძველი: საქართველოს მთავრობის განკარგულება № 205 2020 წლის 31 მარტი,

უნივერსიტეტის რექტორი:	პროფ. როლანდ კოპალიანი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი:	ასოც. პროფ. თეა კორძაძე
სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი:	პროფ. იმერი ბასილაძე
ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის სამსახურის უფროსი:	ოთარ შენგელია